განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში (მიწის ნაკ. №014/014) არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მანსარდის დაშენების მიზნით, სპეციალური ზონალური მოსაჯრებლის ანგარიში

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა პროექტი და გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა 2009 წლის მარტამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
მიმდინარე წელს დასრულდა ობიექტის მშენებლობა და იგი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში. შესაბამისად კ2 კოეფიციენტი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაჯრებელი იანგარიშება დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სარეკონსტრუქციო ობიექტი ქ. თბილისის გენ-გეგმის ზონირების რუკის შესაბამისად მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5-ში (სზ5) – კ1=0.5; კ2=2.1.
არსებული მდგომარეობით განაშენიანების ინტენსივობა შეადგენს – 1756.2 მ^2-ს. შესაბამისად კ2=2.9

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაჯრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით: L / K2X(K2'-K2)XS, სადაც:
L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 მ^2
K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი
K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი
S - მიწის ნაკვეთის ფართობი.
აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაჯრებელი შეადგენდს:
170ლ/2.1X(3.1-2.1+0.42*)X607მ^2=28500 ლარს

აღნიშნული თანხა გადახდილი იქნება მენებლობის ნებართვის ვადის გასვლამდე.

** - 20%-იანი შეღავათი*

შპს "ვაუ"-ს დირექტორი: ვ. მახათაძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება №1772

"20" აგვისტო 2013 წ.

ქ.თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 8 აგვისტოს სხდომის №31 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, მაზნიაშვილის ქ. №4-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,8, კ2=3,1.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი." ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში: GE95LB0125152101628649.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის პირველი
მოადგილე (ეიცე-მერი) სევდია უგრეხელიძე